პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 ნოემბერი ოთხშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 264 (14868)

ხუთწლედი — ვადამდე

XXIV კრებამდე — საპატიო ვალი

კომუნისტის ფორიზონტი

ადამიანი რაც მეტ გამოცდილებას, თეორიულ ცოდნას შეიძენს, მით უფრო შორს ხედავს მისი გონების თვალი, სწორად ერკვევა მოვლენებში და იგი წარმატებით წყვეტს პრაქტიკულ საკითხებს. ამიტომ სავსებით სწორია, როცა ამა თუ იმ მუშაკს, საქმიან თვისებებზე მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ როგორია მისი გონებრივი ფორიზონტი.

როცა პარტია წყვეტს დიდ და რთულ პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ ამოცანებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომუნისტთა, უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელი კადრების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას. დღეს მშენებლობის ყოველ უბანზე მხოლოდ ფართო ფორიზონტის, ნათელი გონების, ფრიად ერუდირებული ადამიანები აღწევენ წარმატებას. ამას ყოველ ნაბიჯზე ადასტურებს ცხოვრება, პრაქტიკა.

ახლა, როცა პარტიის მიერ დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანები, მათი წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული კომუნისტების, კადრების გამოცდილებასა და ცოდნაზე, მათს უნარზე ხელმძღვანელობდნენ კონკრეტულ საქმის ეკონომიური კანონების, ტექნიკური პროგრესის მოთხოვნილებით. ხოლო ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობა მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი, როცა იგი ეყრდნობა თეორიულ ცოდნას, მშრომელთა მზარდ აქტივობას, როცა თვითეული ადამიანი შეგნებულად თავის სამუშაო ადგილზე მთელ ძალღონეს და უნარს აძლევს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას, როცა წარმოების მართვის ელემენტები ხდება ცოდნა და ორგანიზებულობა, თვითეული მუშაკის მტკიცე დისციპლინა და მაღალი პასუხისმგებლობა.

კომუნისტის ფორიზონტი ფართო მცნებაა. მაგრამ იგი ძირითადად ნიშნავს პარტიის ფეხრის მარქსისტულ-ლენინურ განათლებას და იმის უნარს, რომ თეორიული ცოდნა გადავაქციოთ კონკრეტული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის პრაქტიკულ ძალად, მტკიცე რწმენად. მხოლოდ იმათ, ვისაც ნათლად ესმის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, უკვე დამოუკიდებლად ერკვევა პოლიტიკურ საკითხებში, შეუძლიათ, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „ჩათვლონ, რომ საკმაოდ მტკიცედ მათი შეხედულებანი და რომ საკმაოდ წარმატებით დაიცვან ისინი ჭეშმარიტ ბნედავთ და როცა ბნედავთ“.

კომუნისტური რწმენა განუყოფელია პრინციპულობისაგან. სწორედ პრინციპული დამოკიდებულებით ყოველი კონკრეტული ფაქტისა და მოვლენისადმი, მათი სწორი პოლიტიკური, კლასობრივი შეფასებით ვლინდება უწინარეს ყოვლისა კომუნისტის ფორიზონტი, მისი იდეური სიმწიფე.

საინტერესოა შეხვედრა სხვადასხვა თაობის კომუნისტებთან, ძველ ბოლშევიკებთან, პირველი ხუთწლედის დამკვიდრებლებთან, სამამულო ომის ვეტერანებთან, მეურნეობისა და კულტურის წარჩინებულ დამამენებთან.

მაგალითისათვის ავიღოთ ძველი ბოლშევიკი დავით ლომაძე. ვის არ მოხიბლავს მასთან საუბარი ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის, მარქსისტული ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის, საერთაშორისო პოლიტიკის, ეთიკის, ესთეტიკის და სხვა საკითხებზე. უსმენ ამ ღვაწლმოსილ ადამიანს და ფიქრობ იმაზე, რა ფართოა ამ კომუნისტის ფორიზონტი. მაგრამ პირადად მას ეს ცოდნა არ აკმაყოფილებს. იგი ახლაც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ყოველდღიურად იმაღლებს თავის იდეურ-თეორიულ დონეს. წიგნი მისი განუყრელი მეგობარია.

მთელ ჩვენს ქვეყანაში XXIV ყრილობის შესახვედრად მზადებისას, სულ უფრო თავს იჩენს კომუნისტების მაღალი იდეურობა, მასებში მათი ორგანიზაციული როლი. ეს ნათლად ჩანს სამრეწველო საწარმოთა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში მომუშავე კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებით.

მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ საერთო წარმატების ფონზე ეჰა-იქ არ ჩანდეს სერიოზული ნაკლოვანებებიც. ცალკეული კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენენ კომუნისტების ფორიზონტის გაფართოებისადმი. ცხადია, ამას ხშირად მივყავართ საწყუხარო შედეგებამდე. ავიღოთ ერთი მაგალითი.

ამას წინათ საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომმა მექრთამეობისათვის პარტიიდან გარიცხა საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს პურპროდუქტების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორის უოფილი უფროსი კ. ცომაია. იგი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მაგრამ ისმება კითხვა: განა ნამდვილი კომუნისტი, რომელსაც აქვს მაღალი პოლიტიკური განათლება, ფართო ფორიზონტი, აქამდე მიიყვანს თავის საქმეს?! ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მექრთამე მტერია საბჭოთა ხელისუფლებისა. ამიტომაც მას ყველა უნდა ებრძოდეს. წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში კი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია შეგნებულობის ამაღლება.

ჩვენს დროში სულ უფრო წინა პლანზე დგება იმის საკითხი, რომ ავამაღლოთ კომუნისტის პასუხისმგებლობა თავისი ორგანიზაციისათვის. ამის მიღწევის მთავარი საშუალებაა თვით კომუნისტების პასუხისმგებლობის გაძლიერება თავიანთი ცოდნისათვის, თავიანთი იდეური დონისათვის. უნდა განვუთვალოთ მათ იმის ღრმა შინაგანი მოთხოვნილება, რომ ბეჭითად ეუფლებოდნენ რევოლუციურ თეორიას.

თანამედროვე პირობებში ახალი ძალით იჩენს თავს თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობის პრობლემა. პარტიული განათლების სისტემის როლი, პარტიული სწავლების აზრი ის არის, რომ მივდიოდეთ წიგნიდან პრაქტიკისაკენ, თვით ცხოვრების შუაგულში, შემოქმედებითად, ღრმად ვაზროვნებდეთ და ვმოქმედებდეთ.

ამიტომაც, პოლიტიკური სწავლების ორგანიზებული ფორმები — სკოლები, სემინარები, გასაუბრებანი და სხვ. — მოწოდებული არიან ეხმარებოდნენ კომუნისტს სწავლაში, წარმოადგენდნენ, როგორც წესი, დამატებას პოლიტიკური თვითგანათლებისათვის. ისინი განკუთვნილი არიან აზრების ურთიერთგაცვლისთვის და იმის შემოწმებისათვის, თუ რამდენად სწორად და ღრმად არის ათვისებული შასალა დამოუკიდებლად მუშაობის დროს. ნაბოლოო ანგარიშით კომუნისტის ფორიზონტის სიფართოე განისაზღვრება თეორიის შეთვისების სიღრმით დამოუკიდებელი მუშაობით, პოლიტიკური ლიტერატურის, პირველწყაროების კითხვით, მინდობილი საქმის სწორად და წარმატებით გადაწყვეტის დონით.

თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის, პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების ფეხიდან საქმეა ზრუნვა კომუნისტების ფორიზონტის გაფართოებისათვის.

ამ დღეებში გაიმართება პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კონფერენციები. მოხსენებასა და დელეგატთა გამოსვლებში ჭეროვანი ადგილი უნდა დაიკავოს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებმა. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ კომუნისტების, ხელმძღვანელი კადრების პოლიტიკური სწავლების შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებას.

კომუნისტური პარტიის ფორიგი ყრილობისათვის მზადების დღეებში თვითეული კომუნისტის დევიზი უნდა გახდეს დიდი ლენინის სიტყვები: „საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხედეთო, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება“. ცხადია, წინსვლისათვის, წინასწარ ხედვისათვის საჭიროა ცოდნა. ამოცანა ის არის, რომ ვისწავლოთ და ვაშენოთ კომუნიზმი.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი ერთგულება, კომუნისტური რწმენა რევოლუციური სულისკვეთების წყაროა, ჩვენი საზოგადოების უერთვი, სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობის საფუძველია.

● აბაკუმოვის სახელობის კომბინატ „დონეცკუგოლის“ კომუნისტური შრომის შუხტი.

(ახალი ამბების საააგენტო).

● ახალი მოდელი — ტრაქტორი „ბელარუს მტზ-82“.

(საკ.ფოტოქრონიკა).

უპატაკეგს უკრაინა

ეროვნულ ეკონომიკურ საბჭოებს ეკონომიკურ ადმინისტრირებაზე გადასვლა ეტაპობრივ ხასიათს ატარებს. ეს ეტაპობრივი ხასიათი ეკონომიკურ ადმინისტრირებაზე გადასვლისა, ეროვნულ ეკონომიკურ საბჭოებზე

საბჭოთა ადამიანების ღვიძლი საქმე

საქართველოს მშრომელები დიდი მოწონებით შეხვდნენ ცნობას, რომ შეიქმნა საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელმძღვანელობი, რესპუბლიკური კომისია. საქართველოს მშვიდობის მომხრეთა ამასწინანდელი სხდომაზე, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ამ კომისიის შექმნის შესახებ, გამოითქვა მტკიცე რწმენა, რომ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს ხალხი უფრო დიდ წვლილს შეიტანს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელმძღვანელობა რესპუბლიკური კომისია საქართველოს ყველა კუთხიდან ხლებს დეპეშებსა და წერილებს, რომლებშიც სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო დაწესებულებების, სხვადასხვა ორგანიზაციის კოლექტივები და ცალკე მოქალაქეები იუწყებიან, რომ სახსრები შეიტანეს ფონდში, რომ მზად არიან ბრძოლონ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ეს სტატია გაგვაცნობს საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ამოცანებს, ფონდის ხელმძღვანელობა რესპუბლიკური კომისიის პირველ ღონისძიებებს, გვიამბობს, რომ საქართველოს მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ მშვიდობის ფონდის შევსების საქმეში.

□ □

საბჭოთა კავშირს საპატიო ადგილი უკავია მშვიდობისათვის, ომის გაჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი სამშობლო ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების მთავარი ბურჯია. საბჭოთა სახელმწიფო დაუცხრომლად იღვწის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ამხილებს ახალი ომის გაჩაღებლებსა და მათს აგრესიულ გეგმებს, რაზმავს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალებს.

საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებმაც გადაიტანეს წინა ომის მთელი სიმძიმე, განსაკუთრებით ძვირფასია მშვიდობა. საქართველოს რომელ რაიონშიც უნდა ჩახვიდეთ, ნახავთ შინმოუსვლელ მეომართა ობელისკებს, ფოტო-სტენდებს. და თუმცა მეოთხედ საუკუნეზე მეტი სანი გავიდა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან, დედებს, ცოლებსა და შვილებს ჯერაც არ შეშრობიათ ცრემლი.

ჩვენი ხალხი მადლობელია იმათი, ვინც მკერდით დაიცვა სოციალისტური სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა, თავს ხრის სამშობლოს მამაცი შვილების ნათელი ხსოვნის წინაშე, რომლებიც დაიუბნენ უმაგალითო ბრძოლის ველზე.

ომი აღარ უნდა განმეორდეს, ერთხმად აცხადებს ყველა კეთილი ნების ადამიანი. მსოფლიოს ხალხები გადაჭრით მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან შეწყვიტოს ბარბაროსული ომი ინდოჩინეთში, მოლიანად და უპირობოდ გამოიყვანოს სამხრეთ ვიეტნამიდან, ლაოსიდან და კამბოჯიდან თავისი და თავისი სატელიტების ჯარები. ხალხები მოითხოვენ, რომ ისრაელმა შეწყვიტოს აგრესია ახლო აღმოსავლეთში, გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ერთგულად იცავს საგარეო პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად თანმიმდევრულად იბრძვის ჩვენი დროის კეთილშობილური და აქტუალური ამოცანის რეალიზაციისათვის — ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის. მშვიდობის განმტკიცებისათვის ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის დაუცხრომელი ზრუნვის ერთ-ერთი გამოვლინებაა საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის შექმნა. ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია საბჭოთა საზოგადოებრიობის ინიციატივით შეიქმნა ნებაყოფლობით საწყისებზე. მისი კოლექტიური წევრი მეიძლება გახდეს ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ხოლო ინდივიდუალური წევრები საბჭოთა მოქალაქენი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ფონდის საქმიანობაში, ან მატერიალურ დახმარებას უწევენ მას.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდი გამოჰყოფს სახსრებს მშვიდობის დაცვის, განიარაღების, ატომური-იარაღის აკრძალვის, მშვიდობიანი მიზნებით ატომური ენერგიის გამოყენებისა და სხვა დარგებში სამეცნიერო კვლევისათვის.

ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში უკვე შეიქმნა ფონდის ხელმძღვანელობა. ისინი დიდ მუშაობას ეწევიან აგრესიის აქტების წინააღმდეგ, მშვიდობის განმტკიცებისათვის ანტიიმპერიალისტური ბრძოლის მასობრივ საერთაშორისო ღონისძიებათა მხარდასაჭერად.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელმძღვანობა რესპუბლიკურმა კომისიამ დასახა ფართო ღონისძიებათა გეგმა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, ფონდის შეეხებას მშრომელთა ნებაყოფლობითი შენაგებებით.

მშვიდობის ფონდში სულ სხვადასხვა შენატანები შეაქვთ. ეს არის საბჭოთა და საზღვარგარეთული ორგანიზაციების და მოქალაქეების ფულადი შენატანები და სხვა საჩუქრები, საავტორო ჰონორარები, გამოგონებისათვის მიღებული ჯილდოები, ფონდისათვის გადაცემული ხელოვნების ნაწარმოებების, ბიბლიოთეკების, კოლექციებისა და სხვა ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული სახსრები, სპეციალურად გამართული სპექტაკლების, კონცერტების, საღამოების, ლექციების, სპორტული შეჯიბრებების შემოსავალი, შემკვიდრეობით მიღებული ქონება და სხვ.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდი ბევრ კეთილ საქმეს აკეთებს. ვიეტნამში მიდის სურსათი და მედიკამენტებით დატვირთული გემები, ახლო აღმოსავლეთში იგზავნება სურსათი და ტანსაცმელი არაბ ლტოლვილთათვის. მშვიდობის ფონდის აქტიური მონაწილეობით გიმართა მთელი რიგი დიდი საერთაშორისო ფორუმები.

ბარშან საქართველომ მშვიდობის ფონდში შეიტანა დაახლოებით 130 ათასი მანეთი. შენატანები გადარიცხეს თბილისის, თერჯოლის, ზუგდიდის, საჩხერის, ონის, თიანეთის, მარნეულის, გუდაუთის, ბორჯომის, ადიგენის, სიღნაღის რაიონების მშრომელებმა. ფონდისათვის ფულს გზავნიან მოსწავლეები, სტუდენტები, დიასახლისები, მუშები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. ამას წინათ საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდს 10 ათასი მანეთი გადაურიცხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფომცენლობის კოლეგიამ.

იმვიც არ არის, რომ საქართველოს მშრომელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ [illegible] კავშირის [illegible] ფონდში. ფონდში [illegible] ფულს [illegible] ფონდში რესპუბლიკური კომისიის საქმიანობაში. [illegible] ინფორმაციას [illegible] ბრძოლაში [illegible] ბრძოლა. [illegible] ბრძოლა [illegible] ბრძოლა [illegible] ბრძოლა

მამათა მაგალითი — შვილების

ქართველი ხალხის ყველა გამარჯვებისა და წარმატების ორგანიზატორია საქართველოს კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაცადი, მებრძოლი და ერთგული რაზმი. XX საუკუნის მიჯნაზე შობილი საქართველოს გოლშევიკური ორგანიზაციები მუდამ იცავნენ მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა საქმისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე. საქართველოს კომპარტია მუდამ ზრდიდა და ახლაც ზრდის ხალხს მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური საშუალოგლოს დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით. დიდ ორგანიზატორულ და კოლიტიკურ მუშაობას ეწევა, რომ მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია დარაზმოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის საბრძოლველად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან „საქართველოს სსრ და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღნიშვნის შესახებ“.

ისინი იბრძოლნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის

ნახევარი საუკუნე პარტიაში

თებერვლის რევოლუციის ქარიშხალმა ანთიოზ ასათიანს პეტროგრადში მოუსწრო. მაშინ იგი სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში სწავლობდა. ახალგაზრდა ანთიოზმა კავშირი დაამყარა ვიბორგის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან. მუშაობა დაიწყო რკინიგზელთა დამცველ საგანგებო კომისიაში.

მალე ანთიოზი საქართველოში გამოიგზავნა სპეციალური დავალებით და თან წამოიღო დიდი რაოდენობით პოლიტიკური ლიტერატურა. სადგურ ანხანგელსკაიასთან იგი გერმანელმა პატრულებმა დაიპატიმრეს. გაიხრიკის დროს კალათში აღმოაჩინეს ვ. ი. ლენინის ნაშრომი „სახელმწიფო და რევოლუცია“. ცხადია, ეს და სხვა ბოლშევიკური ლიტერატურა ჩამოართვეს, თვითონ კი დაპატიმრეს.

ა. ასათიანმა პატიმრობას თავი დააღწია და ჩამოვიდა საქართველოში, სადაც იბრძოდა ენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ.

1922 წლიდან ანთიოზ ასათიანი მუშაობას იწყებს პარტიის ახალციხის სამაზრო კომიტეტში განყოფილების გამგედ. 1925 წლიდან კი პარტიის ახალციხის სამაზრო კომიტეტის პირველი მდივანია. იგი აღტაცებით იგონებს შეხვედრებს ს. ორჯონიკიძესთან, ა. მიასნიკოვთან, მ. ორახელაშვილთან და სხვა გამოჩენილ პარტიულ მოღვაწეებთან.

ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ძველი პარტიული მუშაკი ა. ასათიანი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას აწევს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც სოციალური ჰიგიენის კათედრას განაგებს. ღვაწლმოსილ მეცნიერს პროფესორ ა. ასათიანს მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ მედიცინის დაშსახურებული მოღვაწის წოდება. იგი არის ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს დეპუტატი, მედიკოს-ისტორიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარე. ნახევარი საუკუნეა ა. ასათიანი უშფოთველად ატარებს პარტიის წევრის სახელს. მისი ცხოვრება შესანიშნავი მაგალითია ჩვენი თაობისათვის.

ნ. ორჯონიკიძე,
ახალციხის მუზეუმის დირექტორი.

ნებისყოფა იმარჯვებს

ადამიანი, რომლის ცხოვრების შესახებ მინდა მოგითხროთ, 27 წელიწადია ქ. თბილისის 51-ე საშუალო სკოლის დირექტორია. ეს არის კომკავშირის ვეტერანი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი **ქეთევან ჩიჩუა.** იგი 16 წლისა აქტიურად ჩაება გურიაში ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მენშევიკური ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში ქეთევანი სიმტაცეცა და სიმამაცეს იჩენდა. ძველ კომკავშირელებთან ვალია ტუღუშთან, თეო აბაშიძესთან, კირილე ბურჭულაძესთან ერთად მტკიცედ იცავდა საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვარს, როგორც ლიბაურის კომკავშირული ჟურნალი **ჩ**ამდივანი, რაზმავდა ახალგაზრდობას და მშრომელ მოსახლეობას, რომ ძველი ცხოვრება გარდაექმნათ ახალ ყაიდაზე.

1924 წელს მენშევიკური ავანტიურის დღეებში ქეთევან ჩიჩუა იარაღით ხელში იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. 1927 წელს იგი სკკპ წევრი ხდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი რომ დამთავრა, ქეთევანი მოსკოვში გაგზავნეს სწავლის გასაგრძელებლად. შემდეგში მან თავი გამოიჩინა, როგორც მახვარაძის მტს-ის პოლიტგანყოფილების ქალთა ორგანიზატორმა, შემდეგ ლენინურ-ოის მტს-ის დირექტორის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში.

მრავალი წელია ქეთევან ჩიჩუა სიყვარულით ემსახურება ახალგაზრდა თაობის კომუნისტურად აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ნ. ჩხაიძე,

ტრადიცია გრძელდება

ამ რამდენიმე დღის წინათ პარტიის კალინინის რაიკომში ტრადიციულად თავი მოიყარეს ძველმა ბოლშევიკებმა. მათ შორის იყვნენ ადამიანები, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის კალინინის რაიკომის მეორე მდივანმა ი. თურმანიძემ.

საქართველოს კომპარტიის შექმნაზე ძველი ბოლშევიკების წინაშე საინტერესო ლექცია წაიკითხა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. თოიძემ.

„ძველი ბოლშევიკის დღის“ მონაწილეებმა განიხილეს 1919 წლიდან სკკპ წევრის გიორგი მირიანაშვილის პოემა „მღელვარე ეპოქა“.

ოჯახი ჯარისკაცის ქვრივისა

ეთერ ჯაფარიძე.

ჭილიან გუბის საიდუმლოება

ოქტომბრის გამოძახილი საქართველოში

ბალეი კრებაზე შეიკრიბნენ. რაიონიდან ჩამოსული წარმომადგენელი ტრიბუნაზე ავიდა და სოფლის მონაგალზე კარგახანს, გულდასმით ისაუბრა. კოლექტიური შრომა არის საკრო — არწმუნებდა გლეხებს.

— ხალხნო! ჩვენმა სოფელმა მაგალითი უნდა უჩვენოს სხვებს, — დაიძახა ერთმა.

— კოლექტივი წელში გაგვმართავს, დოვლათს მოგვცემს, — დაბეჯითებით ამტკიცებდა მეორე.

— მეც ვიტყვი ორიოდე სიტყვას, — დარბაზში გაისმა ხმა და ყველა გაოცდა, როცა ტრიბუნისაკენ სოფლის ახალგაზრდა რაული, საოცარ დეენთუზიაზმი გაემართა.

მე ყველას მოგმართავთ, მათ შორის ქალებს, კარგი კოლექტივი ჩვენი ოჯახები ფეხზე დადგება, გადეთიანდეთ.

კლუბიდან ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდა, ხმადაბალა საუბრობდნენ, და ეს საუბარი გრძელდებოდა დიდხანს, ძალიან დიდხანს...

საათი, და ნაჭარია ღარიბად ცხოვრობდნენ. სოფლის ცენტრში პატარა ფიცრული სახლი ვდგათ. გაუკვირდეთ ოთახში ლამპა ბეუტადა. გულს მაინც არ იტეხდნენ.

სოფელში პირველი ტრაქტორი გამოჩნდა. უკაცრიელ მიწაზე სიცოცხლე დაბეჯდიდრდა. ხალხი ზეიმობდა. ამ სიხარულს დევნოზაშვილებიც ინაწილებდნენ.

დანასის რაიონის სოფელ განთიადის კოლმეურნეობას მოპყავდა სიმინდი, პური, ქერი, კარტოფილი. სათოს რგოლი ჩაბარეს, ნაჭარიას კი — მემინდვრეობის ბრიგადა. სასუთარ ჭერქვეშ ჩვილებს ჩვილები ემატებოდნენ, იზრდებოდა კერა, იზრდებოდა ოჯახის სიხარული.

სათოს პარტორგანიზაციის მდივანს განცხადებით მიმართა, პარტიის რიგებში შესვლა ითხოვდა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როცა კრებაზე ყველამ მხარი დაუჭირა და, მიგიღოთ, ჩვენი საამაყო ქალიო, დაადგინეს. მისი რგოლი კოლმეურნეობაში პირველობას არავის არ უთმობდა, შემდეგ რაიონშიც მოწინავეთა რიგებში ახსენებდნენ. მისი სახელი გასცდა სოფელ განთიადს. რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატად, თბილისში მოწიაავე კოლმეურნეთა შეკრებაზე გზავნიდნენ, ყოველ არჩევნებზე სასოფლო საბჭოს დეპუტატად ირჩევდნენ.

... სამამულო ომი მძვინვარებდა. ნაჭარია და მისი უფროსი ვაჟი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი ვალერიანი წასულნი, ტყვეცლის ენები წვავენ და ბრუცავენ ყველაფერს.

— მტერს სურს ეს მშვიდი ძალი დაეკარგოს ჩემს პატარებს, ყველა ბავშვს, — თავის თავს ესაუბრება იგი. ვრა, ეს არ მოხდება. სუსხიანი ზამთარია ქვეყანაზე. ბიბებს შესცივდებათ ფრონტებზე. სათოს დილადრიან შეამოწმა რგოლის წევრების ნამუშევარი, რამდენიმე წყებად შეკრეს მოსოფილი თბილი წინდები და კოლმეურნეობის კანტორაში მიიტანეს, თავმჯდომარეს გადასცეს.

— ყორჩალ ქალებო, რა ნახელეიან! შეაქო თავმჯდომარემ ისინი.

ომი დამთავრდა. ნაჭარი ვეტერანები შინ ბრუნებოდნენ. ბევრი მამულისათვის ბრძოლაში გმირულად დაეცა. სათოს თვალები გზისაკენ ეჭირა. ელოდა მამა-შვილს, მაგრამ ამაოდ. ისინი არ ჩანდნენ.

ჯანგაუტეხავ ქალს ჩრდილი შეეპარა სახეზე, თვალები დაენამა, მაგრამ სულით არ დაეცა.

— აბა თქვენ იცით, თენგიზ, საბა, ლამარა, სპარტაკ, არ შემარცხვინო, ომიმდექით მხარში, არ მაგრძნობინოთ მამისა და ძმის დანაკლისის სიმძიმე, მასახელეთ და გულის იარა მომირჩინეთ, გამახარეთ, — მიმართავდა ბევრ შვილებს და ისინიც უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ დედას. უსწავლელი გლეხის ქალი შვილებს უნერგავდა ზრდომის. მამულის სიყვარულს, პატიოსნებას. წლები მიდიოდა, და პატარებიც იზრდებოდნენ. მათი სახლის ჭერი თანდათან ამაღლდა, იმატა ხვეიმა და ბარაქამ.

ერთ მშვენიერ დღეს თავმჯდომარემ იხმო ქვრივი ქალი და გაუხარდა, რესპუბლიკის მოწინავეთა შორის შენი კანდიდატურაც შეუტანიეთ და მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წასვლა ერგებოდა. ...ნახა სათომ მოსკოვი, მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა სოფელში და კოლმეურნეებს უამბობდა იქ დატეხილ ზეიმებზე.

შვილები და შვილიშვილები მოესწრნენ დედას და მასაც შეეფინა ამოისუნთქა. თენგიზი საკოლმეურნეო საქმიანობაში აქტიურად ჩაება, საბა ინჟინერია, ლამარამ სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და ექიმად მოშაობს.

... პატარა იყო სპარტაკი, როცა ამბავი მოვიდა, მამა და ვალერიანი სამამულო ომში დაილუტნენო. ბავშვი გაიჩინდა, სიტყვა ვერ წარმოთქვა, მხოლოდ დედას შესცქეროდა თვალებში და თითქოს გულით ეუბნებოდა: ნუ გეშინია, დედა, ჩვენ შენთანა ვართ, ვალერიანის დანაკლისს დანარჩენები შეგივსებთო. სპარტაკი იმთავითვე ბეჯითად სწავლობდა, საშუალო სასწავლებელი წარჩინებით დაასრულა, დედამ გულში ჩაიკრა — შენი იმედი მაქვს, შვილო, ამბა შენ იცი, ექიმი მინდა გამოხვიდეო. ეს არჩევანი სპარტაკსაც ჰქონდა.

სულ მოკლე ხანში სპარტაკი კურსის, მთელი ინსტიტუტის საამაყო სტუდენტი გახდა. მან პროფესორ-მასწავლებლებისა და ამხანაგების სიყვარული დაიმსახურა. ყოველ სემესტრში ხუთები ხუთებს ემატებოდა. ინსტიტუტის რექტორმა სპარტაკს მაღალი ავადმყოფური წარმატებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის ავადმყოფის გრიგოლ შუხაძის სახელობის სტიპენდიანტად გაზდომა მიულოცა. და დღეს იგი უკვე ექიმია.

რეფაქციაში ხანშიმესულმა, მაგრამ ჯანგაუტეხელმა ქალმა წერილი მოიტანა, ბეჭდვა გაგვიფინა და მომომქვეყნოთო. „მე მაღლობას ვუძღვნი პარტიას, მთავრობას, რომ ერთი უბრალო გლეხის ქალი ხალხში გამრია, ოჯახი ფეხზე დამიყენა და სასახელო შვილები გამიზარდა. ჩემს ოჯახს დიდი ამაგი დასდო სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივმაც. ახალი ცხოვრება რომ არა, ვინ მაღირსებდა ორი შვილის ექიმად გახდომას“,—წერდა იგი.

ეს იყო სათო დევნოზაშვილი, ძველი კოლმეურნე, პერსონალური პენსიონერი. სოციალისტური შრომის ვეტერანი ქალი, რომლის ბედნიერი ოჯახი ამჟამად ცხოვრობს და შრომობს ბოლნისში.

ეთერ ჯაფარიძე.

დოკუმენტები კომუნისტური

პარიზის დავიწყებული

გაშაყებულ სიგრცეში ხვამლის მთა გარიკულ ხომალდივით ჩანდა. ერთმანეთზე მიჯრილი მიწყობილი მთები, გორაკები და სერები ტყვეთსფერ ნისლს დეფფარა.

ზაფხულის ღამე იყო. სოფელი გუში თვლემდა. მაგრამ ყველას როდი ეძინა. ბევრნი წასულიყვნენ ხონელ ბოლშევიკებს პოლიტგანათლების კრება მიმდინარეობდა. მას პირველად ესწრებოდა ჩვიდმეტი წლის ვაჟიკაცი **შალვა ეძაგერაძე.** იგი ინტერესით ისმენდა ადგილებიდან (დიდი გუში, კუხი, კულაში) წარმოდგენილ ინფორმაციებს გლეხთა რევოლუციური განწყობილების ზრდაზე.

ყველა ინფორმაციას წითელი ზოლივით გასდევდა ერთი მთავარი აზრი: რევოლუციური გლეხობა აღსდგა მენშევიკური მთავრობის დასამხობად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გარდუვალია. მაგრამ საჭიროა ბოლშევიკური აგიტაციის უფრო ფართოდ გაშლა, ნეიტრალიზება აჯანყებისათვის მზადება, გლეხობის დარაზმვა გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

კითხვებისას დამთავრდა კრება. შინ რომ მიდიოდა, შალვას ეგონა ახლად დაბიბადეო — მის გულში რევოლუციური განწყობილება ღვივდებოდა...

ეს იყო ნახევარი საუკუნის წინათ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

რა გზა ვალია ძველმა ბოლშევიკმა შალვა ეძაგერაძემ და როგორ ახასიათებდნენ მას თანამებრძოლები?

ამის გასარკვევად ჩვენ გადავლანთეთ პარტიული არქივის დოკუმენტებს და სხვა მასალებს. მკითხველს ვთავაზობთ შალვა ეძაგერაძის შესახებ ზოგიერთ დოკუმენტს, რომლებსაც კომენტარი არ ესაჭიროება.

„1924 წლის 12 სექტემბერი: ამბ. შ. ეძაგერაძე პარტიის ფოთის რაიონული კომიტეტის მიერ მობილიზებული იყო მენშევიკური აჯანყიტურის ჩასახშობად 1924 წლის 28 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე. ამბ. ეძაგერაძემ მიიღო აქტიური მონაწილეობა **ბანდიტებთან ბრძოლაში“.**

„1929 წლის 17 ივლისი: პირველი ქართული მსროლელი დივიზიის შეხუთე საარმიო პარტორგანიზაციის გამოწვეული კომისიის სხდომის მიერ, რომელსაც დაესწრნენ პარტიის წევრები და კანდიდატები — 800 კაცი, ადგილზე ერთ შესამედზე მეტი კომკავშირელები და უპარტიოები, შალვა ეძაგერაძე ჩაითვალა შემოწმებულად. იგი ამჟამად არის ერთელ ჯარის ბოლოტგანთა ინსტიტუტორი. პარტიული დავალებები აქვს, პარტიული სახელი — ორი. დაპატიმრებული იყო მენშევიკების მიერ ბოლშევიკური მუშაობისათვის“.

„1930 წლის 16 ივნისი: დივიზიის სამმართველოს კომუნისტიდან შ. ეძაგერაძეს ამცნეს დადებით დასასრულებას. იგი ბოლშევიკური პარტიის წევრია 1918 წლიდან, ორის შტაკი, თავდაჭერილი, და ენერგიული მუშაკი. 1921 წლიდან წითელი ჯარის რიგებშია სპასეულ

ნისმგებელ თანამდებობებზე. მუშაობდა დივიზიის პოლიტგანყოფილების საგიტაციო-საპროპაგანდო ნაწილის უფროსად, რასაც კარგად ასრულებდა. არავინ ყოფილა გამოყენებული პარტიული განათლების წრეების ხელმძღვანელად და მომხსენებლად იქნეს კრებებზე. ადეოლოგიურად მტკიცეა. პარტიის პოლიტიკაში სწორად ერკვევა. ინავითარ გადახრაში არ ყოფილა შემჩნეული. არის დივიზიის პარტკომისიის წევრი. 1929 წლის პარტიული წმენდა გაიარა უსასყელოდ“.

„1931 წელი (წარწერა პორტსიგარეზე): ბროლეტარული დიქტატურის მეფეარ მებრძოლს შ. ს. ეძაგერაძეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან 1921-1931 წლები“.

„1934 წლის 26 აგვისტი, ამბ. შ. ს. ეძაგერაძე ენერგიული და ინიციატივიანი პოლიტიკური მუშაკი. 1933 წელს კარგად ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ მუშაობას და პოლკში მიიღწია მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებას. საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში პოლკმა კარგი შეფასება მიიღო. შ. ს. ეძაგერაძე საგანგებო შესაფერისად პოლკის საბჭოთა კომისრის თანამდებობაზე. სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის უმაღლესი საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე **ს. ბ. ბუდიონი“.**

„1937 წლის 18 აგვისტო: შალვა ეძაგერაძე სოფელ გუბის ინალელაურ პარტორგანიზაციაში ირიცხებოდა 1918 წლიდან. 1919 წლის ოქტომბერში მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკურ აჯანყებაში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. ოქტომბერში დაპატიმრებულ იქნა მენშევიკური მთავრობის მიერ და იყო ბუთაისის ციხეში ოთხი თვის განმავლობაში. გუბის პარტორგანიზაციაში მისი თანამებრძოლები იყვნენ ძველი ბოლშევიკები რაფდენ ვაშაძე, სერგეიმ ვაშაძე, გიორგი ეძაგერაძე, ამბაკო მამრიკაშვილი და სხვები. ის ყოველთვის პატიოსნად მუშაობდა ლენინის პარტიაში“.

ასეთი იყო მტკიცე რევოლუციონერი შალვა ეძაგერაძე, რომლის ვაჟიკური გულისცემა 43 წლის ასაკში შეწყდა. მან თორმეტი წლისამ დაიწყო შრომითი საქმიანობა სოფელ გუბში. ჩვიდმეტი წლისა ხვები არალეგალურ რევოლუციურ მოძრაობაში და შემდგომ მიდიოდა წინ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ჯაზაზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შალვა ეძაგერაძე მიდის ქერთულ წითელ არმიაში, სადაც უფრო გამოიწრთო. მალე პარტია მობილიზაციით გზავნის საგანგებო კომისიაში, ამ ხაზით მან დიდი მუშაობა გასწია თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში, გორში, ლენინაკანში...

15 თებერვალი მისი დაბადების დღეა, ახლა იგი 70 წლისა იქნებოდა. მან ვეღარ შეძლო ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მონაწილეობის მიღება. სამაგიეროდ, მისი ერთადერთი შვილი სპარტაკ ეძაგერაძე მამაცურად ებრძოდა ჰიტლერიზმს სამამულო ომის ფრონტებზე და გამარჯვებული დაბრუნდა. სამწუხაროდ, იგი შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა. ნადერევად წაიდნენ ამ ცხოვრებიდან მამაც და შვილიც...

მაგრამ, როგორც ფიქრობენ: არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული!

ს. ფურაბაშვილი.

სურათზე: განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილის (ჩონ) დათვალიერება 1923 წელს თბილისის დიდუბის რაიონში.

ჩვენს მკითხველებს

ძვირფასო მეგობრებო!

გაეცანით თუ არა თქვენ 1971 წლისათვის გაზეთი

„კომუნისტი“

გაცხადებთ, რომ ხელმოწერა ყველგან მთავრდება 25 ნოემბერს.

საპატიო ჯილდო ქართველ საზოგადო მოღვაწეს

სსრ კავშირში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს კულტურის საკითხთა მდივანმა იოანეფ კერიმ 10 ნოემბერს თბილისში სამსახოვრო საიუბილეო მედალი გადასცა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარეს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ალექსანდრე ბარამიძეს. მედალი დაარსებულია უნგრეთის განთავისუფლების 25 წლისთავის გამო. გადაცემას დაესწრნენ საზოგადოების გამგეობის წევრები და განყოფილების აქტივისტები, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების წარმომადგენლები.

იოანეფ კერიმ წაიკითხა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომელშიც გამოთქმულია რწმენა, რომ ეს ჯილდო ხელს შეუწყობს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის და საბჭოთა ხალხის კიდევ უფრო მჭიდრო მეგობრობას, ძმური თანამშრომლობის განმტკიცებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ.

ი. კერი მიესალმა ა. ბარამიძეს და აღნიშნა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების დამსახურება საქართველო-უნგრეთის მეგობრობის განვითარებაში, უსურვა საზოგადოების მოღვაწეებს შემდგომი ნაყოფიერი მუშაობა ამ კეთილშობილურ საქმეში.

საპასუხო სიტყვაში ა. ბარამიძემ გულითადი მადლობა გადაიხადა საპატიო ჯილდოსათვის. ეს ჯილდო, თქვა მან, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების საქმიანობის მაღალი შეფასებაა. (საქდისი).



ბათუმი. ნავსადგურის „ერთ-ერთი კუთხე.“ ფოტო ხ. ანჯელოსი.

ეაღალი შეფასება

მილიციის შესახებ დაწერილ ნაწარმოებთა კონკურსი

მოსკოვი, 9 ნოემბერი. (საკადესი. კორ. ვ. ჭანტურია). სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობამ გამოაცხადეს სრულიად საკავშირო ლიტერატურულ-მხატვრული კონკურსი, რომელშიც ფართო მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების, რუსეთის სფსრ მხარეებისა და ოლქების პროზაიკოსებმა, პოეტებმა, დრამატურგებმა და კომპოზიტორებმა. კონკურსის შედეგები შეაჯამეს საბჭოთა მილიციის დღის წინ. ამ სრულიად საკავშირო დათვალიერებაზე წარდგენილი იყო სხვადასხვა ჟანრის ცხრაასამდე ნაწარმოები, რომლებიც ეძღვნება სოციალისტური წესრიგის განმტკიცების პრობლემებს, სახალხო მილიციის თანამშრომელთა კეთილშობილურ შრომას.

მაღალი შეფასება მიიღო დ. შოსტაკოვიჩის „საბჭოთა მილიციის მარშმა“ და ვ. მურადელის სიმღერამ „სიმღერა მილიციელის ფიცზე“. ამ ნაწარმოებთა ავტორებს მიენიჭათ **პირველი პრემიები** და კონკურსის **ლაურეატთა** დიპლომები.

ეროვნულ პრემიები მიანიჭა ა. ადამოვს მოთხრობისათვის „წრეები წყალში“, ლ. სლოვინს მოთხრობისათვის „დაპატიმრეთ გიიერაყეზე“, ვ. კარახანოვს (ბაკო) მოთხრობისათვის „დაბრუნებენეთ ნაპარავი“. აღინიშნა ლტვიელ მწერალთა ნაწარმოებები: ა. დრიბეს რომანი „უკანასკნელი ბარიერი“ და გ. ცირულისის კინოსცენარი „თითქმის სიმართლეა“. ლაურეატთა შორის არიან ბ. მოქაევი (კინოსცენარი „მოწმე დაიკარგა“), ლ. მიტროფანოვი (პიესა „მოინანიე...“), აგრეთვე მთელი რიგი მოთხრობისა და ნარკვევების კრებულთა ავტორები.

კონკურსის ლაურეატები გახდნენ მოსკოველი პოეტი ვ. ანდრეევი, რომელმაც დაწერა პოემა „მილიციაში ვმსახურობ“, ტულელი პოეტი მ. კრიშკო პოემისათვის „საფრთხე არ გვაშინებს“ და ლექსების ციკლისათვის, ლენინგრადელი პოეტი ვ. კუზნეცოვი ლექსისათვის „ამბავი ჩეკისტისა“.

გამარჯვებულებს გადასცეს დიპლომები და სიგელები.

საზოგადოებრივი ტრიბუნა

კალმა და მალიორკაში

(ესპანეთი) დაიწყო ჭადრაკში მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირი.

პირველ ტურში მონაწილეთის წარმომადგენელმა ტ. უიტუმენმა დაამარცხა ამერიკელი გროსმაისტერი ს. რეშევსკი, დ. მინინმა (იუგოსლავია) — ს. ნარანია (ფილიპინები). საბჭოთა გროსმაისტერებმა ე. გელერმა, ე. სმისლოვმა და მ. ტალიმენოვმა თანიანთი პარტიები ლ. პორტიშთან (უნგრეთი), დ. სათერზთან (კანადა) და უ. ადისონთან (აშშ) ყაიმით დამთავრეს, ხოლო ლ. პოლუგაევსკისა და ე. მეკინგის (ბრაზილია) პარტია გადადიო.

ყაიმით დამთავრდა აგრეთვე რ. ფიშერისა (აშშ) და გ. ჰოუბნერის (გერ), ბ. ლარსენისა (დანია) და ბ. ივკოვის (იუგოსლავია) პარტიები. მ. ფილიპ-ვ. ჰორტის (ორივე ჩეხოსლოვაკია), ე. ჰიმენეს (კუბა) — მ. მატულოვიჩის (იუგოსლავია), ვ. ულმან (გერ) — ს. გლიგორიჩის (იუგოსლავია) და ჰ. რუბინტ (მან შეცვალა მ. ნაიდორფი) — ო. პანოს (ორივე არგენტინა) პარტიები გადადიო.

სსრ კავშირის თასზე

მოსკოვში გრძელდება სსრ კავშირის თასის გათამაშება ჭადრაკში ვაჟთათვის. მეორე ტურში გროსმაისტერ დ. ბრონშტეინისა და ოსტატ ა. შმიტის პარტია გადაიდო თანაბარ პოზიციაში. შემდეგ კი მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიშია 1:1. გადადო აგრეთვე მესამე ადგილისათვის მებრძოლების ვ. სავონისა და ლ. ალბურტის პარტია. პირველს შედეგად პაიკი აქვს. პირველი ტურის გადადებულ პარტიაში ლ. ალბურტი ბრძოლის განუახლებლად დანებდა ვ. სავონს.

რვა პრეტენდენტი

მოსკოვის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდი გაანაგრძობს ბრძოლას ევროპის ჩემპიონთა თასისათვის.

უკანასკნელი შეხვედრა მარსელში საბჭოთა წყალბურთელებმა ფრედ 3:3 დაამთავრეს უნგრეთის ჩემპიონთან — „ოსკ ბუდაპეშტთან“. ამ ორ გუნდს აღმოაჩნდა ხუთ-ხუთი ქულა, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით პირველი ადგილი დაიკავეს დინამოელებმა. ორივე გუნდი მონაწილეობას მიიღებს ბარსელონის ნახევარფინალურ ტურნირში. აქ გამოვლენ აგრეთვე იუგოსლავიის „მლადოსტი“ და ესპანეთის „ბარსელონეტა“.

შეორე ნახევარფინალური ტურნირი იქნება ბელგრადში. აქ ფინალში გასვლისათვის იბრძოლებენ იუგოსლავიის ჩემპიონი „პარტიზანი“, საბერძნეთის „ეთნიკოსი“, ბულგარეთის „აკადემიკი“ და შვეიცის „სტოკჰოლმი“.

ორიგინალობა, ბუნებრივობა

გია ნადარეიშვილის „რჩეული ეტიუდები“

ბოლო ორი თვის განმავლობაში „საბჭოთა საქართველოს“ ერთ-ერთ ადგილზე ეტიუდი ბეჭდავს ცნობილი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორის, საქართველოში საეტიუდო ხელოვნების ფუძემდებლის, საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო ოსტატის, საერთაშორისო არბიტრის, სსრ კავშირის სპორტის ოსტატის, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის გია ნადარეიშვილის წიგნი „რჩეული ეტიუდები“.

გ. ნადარეიშვილის „წიგნები საჭადრაკო ეტიუდებზე“ ორჯერ გამოიცა ქართულ ენაზე. ეს წიგნი კი მნიშვნელოვნად გაფართოებული და გადამუშავებულია. წიგნს ახლავს ანოტაცია ინგლისურ ენაზე. ვფიქრობთ — კრებულის მნიშვნელობაზე მჭვრეტმეცნიერად ლაპარაკობს მსოფლიოს ექსჩემპიონის მიხეილ ბოტვინიკის ნარკვევი „ეიუჯარულის ენინასტეუპობა“, რომელიც წიგნს წამძღვარებული აქვს. სიტყვა-სიტყვით ვბეჭდავთ მიხეილ ბოტვინიკის ამ ნარკვევს.

„ამაში არ არის არავითარი ცრუ თავმდაბლობა. ამ სტრიქონების ავტორი საეტიუდო კომპოზიციაში მოყვარულია მხოლოდ და მხოლოდ. მაგრამ ალბათ მკითხველს (აგრეთვე სპეციალისტსაც) აინტერესებს მოისმინოს არაპროფესიონალი-ეტიუდისტის აზრი.

კრებული ერთი ხასიათისა არ არის. მისი უკანასკნელი ნაწილი შორდება თანამედროვე საეტიუდო ხელოვნების დარგს. ეს ნაწილი ფრიად ძვირფასია, როგორც ენდშპილის თეორიის განყოფილება; ის უნდა შევიდეს ყველა ცნობარში, რომელიც კი ენდშპილს შეეხება, და კარგ სამსახურს გაუწევს პრაქტიკოს მოჭადრაკეებს! მაგრამ კრებულის აზრი ამაში როდი მდგომარეობს...

პირველი ორი ნაწილი ფრიად საუურადღებოა. პირველში თავმოყრილია თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი ეტიუდისტის — გია ნადარეიშვილის ეტიუდები; მეორე ნაწილი წარმოადგენს სხვა გამოჩენილი ეტიუდისტების ნაწარმოებთა კოლექციას. ეს ნაწარმოებები პრემირებულია საქართველოს კონკურსებზე, რაც თავისთავად საინტერესოა, რადგან მოწმობს იმას, რომ საქართველო საეტიუდო კომპოზიციის ერთ-ერთ მსოფლიო ცენტრს წარმოადგენს. მთავარი კი ის არის, რომ მკითხველი, რომელიც უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულია შეკრებილი ეტიუდების მხატვრული ღირსებებით, მაშინაც კი კმაყოფილი დარჩება, რა დახვეწილი გემოვნებაც უნდა ჰქონდეს ამ მხრივ.

უკვე მრავალი ათწლეულია საეტიუდო ხელოვნება (უმთავრესად ეს შეეხება ამოცანებს) ორი მიმართულებით ვითარდება. პირველი დაკავშირებულია უმთავრესად ე. წ. ამომხსნელთა ინტერესებთან, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, პრაქტიკოს მოჭადრაკეთა ინტერესებთან, ე. ი. უფრო ფართო აუდიტორიის ინტერესებთან. ეს მიმართულება ყოველთვის გულისხმობს ეტიუდის ამოხსნის სირთულეს, შემხვედრი ბრძოლის დაძაბულობას, კომპოზიციის ორიგინალობასა და ეტიუდის წყობას, რაც პრაქტიკულს უახლოვდება. მეორე მიმართულება მხედველობაში იღებს შედარებით სპეციალისტთა ვიწრო წრეს, იგი არ დაგიდევთ პრაქტიკოს მოჭადრაკეთა მოთხოვნებს, ეტიუდის ამოხსნის სირთულეს ცვლის მისი შედგენისა და ცნობილი საეტიუდო იდეების განხორციელების სირთულით.

მიამიტობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეტიუდების კომპოზიტორები მკვეთრად იყოფოდნენ ორ ბანაკად. რა თქმა უნდა, არა! თვითეული კომპოზიტორი ხარკს უხდის როგორც ერთ, ისე მეორე მიმართულებას, რადგან ერთი მხრივ იგი ისწრაფვის დაამაყოფილოს პრაქტიკოსთა მახვილი აუდიტორიის მხატვრული მოთხოვნილება, ხოლო მეორე მხრივ — თავი გამოიჩინოს პროფესიულ თანამოძმეთა წინაშე ეტიუდების შედგენის საკუთარი ტექნიკით.

მკითხველს რომ არავითარი ეჭვი არ დებადოს, ამ სტრიქონების ავტორი, ისევე როგორც ამ სამი ათეული წლის წინათ, ყოველთვის ცნობდა მხოლოდ პირველ მიმართულებას. უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე ტიპის ეტიუდებს არსებობის უფლება აქვთ მხოლოდ და მხოლოდ როგორც მათი ავტორების მისწრაფების დახელოვნებისაკენ. მხოლოდ და მხოლოდ! ჩემი აზრით კომპოზიტორის შრომა უნდა შეფასდეს არა მის მიერ შედგენილი ეტიუდების რიცხვით და არა მათი საშუალო დონით, არამედ იმ შემოქმედებითი მწვერვალით, რომელსაც მან მიაღწია თავის საუკეთესო ნაწარმოებებში.

ამიტომ მინდა მოწიწებით მოვიბადო ქუდი გია ნადარეიშვილის წინაშე. მისი საუკეთესო ეტიუდები, ისეთები, როგორიც არის №№ 7 და 71, უეჭველია სამუდამოდ შევა საეტიუდო ხელოვნების ოქროს ფონდში. აქ ჩვენ ვხედავთ მახვილგონიერ შემხვდურ თამაშსაც და ამოხსნის წარმოუდგენელ სირთულესაც, ორიგინალობასაც და კომპოზიციის ბუნებრივობასაც. აქ საეტიუდო იდეა კი არ წარმართავს კომპოზიტორს, არამედ მხატვარი ფლობს საკუთებით ნაწარმოების იდეას.

გ. ნადარეიშვილმა გაბედული გადაწყვეტილება მიიღო. იგი არ შეუშინდა იმას, რომ თავისი ეტიუდები შეედარებინა წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილი კომპოზიტორების ბრწყინვალე პლეადის უნიკალური მიღწევებისათვის. და წიგნის ავტორი სწორადაც მოიქცა. მას არაფრისა არ უნდა შეშინებოდა. მეორე ნაწილის ეტიუდებიდან, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ამდენს № 145 ეტიუდი ვ. კოროლკოვისა. ეს ეტიუდი გვიჩვენებს, თუ რა შეუძლია მის ავტორს, როცა იგი ქმნის ნაწარმოებებს იმ სულისკვეთებით, რასაც ადრე პირველი მიმართულება ვუწოდეთ პირობითად.

ამჟამად ასეთი კრებულები უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავენ მოჭადრაკეთა ფართო წრის მხატვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ხოლო მეორე რიგში ისინი ხელს უწყობენ კომპოზიციის შემდგომ განვითარებას. მაგრამ მომავალში (შეიძლება ახლო მომავალშიც) მსგავსი კრებული უფრო უტილიტარულ როლსაც შეასრულებს.

და თუ ხელოვნური მოჭადრაკის შექმნის პრობლემა დამაკმაყოფილებლად განვითარდა, მაშინ საჭადრაკო პროგრამის დახვეწა, ოსტატურ თამაშამდე დაყვანა ყოველთვის დაკავშირებული იქნება ეტიუდებზე მანქანის საჭადრაკო შესაძლებლობათა შემოწმებასთან.

ამასთან დაკავშირებით ასეთი კრებულები ფასდაუდებელ სარგებლობას მოიტანს (ეს ფუძე სიტყვები როდია. № 7 ეტიუდი მე დამეხმარა არსებითად გამეუმჯობესებინა ჭადრაკის თამაშის ადრე წამოყენებული ალგორიტმი).

და ბუნებრივიც არის. პრაქტიკოს მოჭადრაკეს არ შეუძლია დაფაზე შექმნას ისეთი დახვეწილი ნაწარმოებები, როგორიც კომპოზიტორს, რომელიც შეზღუდული არ არის მოფიქრებისათვის განკუთვნილი დროით და შებოჭილი არ არის საჭადრაკო კოდექსის მკაცრი წესებით...

მაგრამ მოდი თავი დავანებოთ ამას, თუ რა იქნება შემდეგ, და ამთავითვე სათანადოდ შევაფასოთ წიგნის ავტორის შრომა. როგორც მისი ხელნაწერების პირველ მკითხველს, მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო გ. ა. ნადარეიშვილს მისი ნაშრომისათვის და გამოვთქვა იმედი, რომ მომავალი მკითხველები შემომეერთდებიან ავტორი ს ა ხ ე მ ი ს ა ს ა ე ტ ი ო ე ს ო ს ო ურ ვ ი ლ ე ბ ს ა ნ ე ბ ი ს ა ნ ა ბ ე ჭ დ ა ვ ს „ა ვ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ“.

თანამედროვეობის უდიდესი მოჭადრაკის ეს შეფასება ჭეშმარიტად ღირსეული აღიარებაა გ. ნადარეიშვილისა წიგნის ავტორისადმი.

წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა ბ. ნადარეიშვილს და სთხოვა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის მოეთხრო, თუ რაზე მუშაობენ ამჟამად ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორები, როგორია კერძოდ მისი პირადი გეგმები.

აი რა გვითხრა მან:

— ამჟამად მიმდინარეობს საკავშირო გუნდური პირველობა საჭადრაკო კომპოზიციაში, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობას მიიღებს გუნდი ასეთი სავარაუდო შემადგენლობით — ი. კრიხელი, ვ. კალანდაძე, ვ. ნეიძე, რ. თავარიანი, ო. ტაბიძე, ი. შოსტი, ვ. სავჩენკო, ვ. დადიანიძე, დ. გურგენიძე. ამ გუნდის კაპიტნობა მე მაქვს მონდობილი. ეს შეჯიბრება 5-6 თვეს გაგრძელდება. ასპარეზობის მსვლელობაში მსაჯები იძლევიან თემას, რომელზეც გუნდის თვითეულმა წევრმა უნდა შეადგინოს ამოცანა ან ეტიუდი. სხვათა შორის, ჩვენი გუნდის მონაწილე ვაჟა ნეიძე ამავე დროს პირველობის ერთ-ერთი მსაჯია ეტიუდების ნაწილში. ეს, რა თქმა უნდა, მას უფლებას არ ართმევს მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებაში. სხვა განხრით.

პირადად მე ახლა ემონაწილეობ სხვადასხვა კონკურსებში, რომლებიც გამოცხადებულია იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში, შვეიცარიასა და ჩეხოსლოვაკიაში. თუ როგორი იქნება შედეგები, ამას ალბათ მალე გაიგებს მკითხველი.

თქვენთვის, ეტიუდების მოყვარულნო!



მოგება

გთავაზობთ გია ნადარეიშვილის ერთ-ერთ საუკეთესო — № 7 ეტიუდს წიგნიდან „რჩეული ეტიუდები“. ეს ნაწარმოებები პრემირებული იყო 1950 წელს გაზეთ „ლენინის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში. ეტიუდი მიხეილ ბოტვინიკის კომენტარებით, როგორც სანიმუშო, შეტანილია აგრეთვე „საბჭოთა მენციკლოპედიაში“.

საჭადრაკო კომპოზიციური ხელოვნების მოყვარულებისაგან რედაქცია ელის ეტიუდის სწორ ამოხსნას.

პასუხები გთხოვთ გამოგზავნოთ შემდეგი მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 14, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია, ინფორმაციის განყოფილება.

ლიდერობენ უკრაინელები

სიმფეროპოლში გრძელდება იუნიორთა საკავშირო ტურნირის თინანლური შეხვედრები ფეხბურთში „იმიდის თასზე“. სამი ტურის შემდეგ ლიდერი გახდა უკრაინის 5 ქულა აქვს. უკრაინელებმა დაამარცხეს ბელორუსია და რსფსრ-ის გუნდები 3:0 და 2:0 და თრად — 1:1 დაამთავრეს შეხვედრა მოლდაველ ფეხბურთელებთან.

რამდენიმე სტრიქონით

● **უნგრეთის** ქალაქ მიშოლცში გრძელდება იუნიორთა ევროპის პირველი ჩემპიონატი კრიგში. მონაწილეობენ 21 ქვეყნის წარმომადგენლები. მთლიანი გუნდები (11 მოკრივე) გამოჰყავთ სსრ კავშირს, ბულგარეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, პოლონეთს, რუმინეთს. სტარტზე ოთხმა საბჭოთა მოკრივემ იზეიმა გამარჯვება. წინასწარი შეხვედრები 11 ნოემბრის ამოიწურება, ნახევარფინალები დაიწყება ერთი დღის შემდეგ, ჩემპიონებს კი 14 ნოემბერს გავიგებთ.

● **საფრანგეთის** საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა ალპინისტები. მათ 8 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს, ჩვიდმეტივე სახეობაში პირველები იყვნენ, ამასთანავე გუნდურ პირველობისათვის 4 თასი მოიპოვეს, ხოლო პირადი ბასოლუტური პირველობისათვის — 7 თასი.

გაოლიმპიადის საბოლოო ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

	ო.	გ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ალრაბატი“ (ლვ.)	42	26	11	5	70-22	63
„ალირატი“ (ბლ.)	42	25	11	6	71-29	61
„დნეპრი“ (დნ.)	42	26	9	7	58-25	61
„ლოკომ.“ (მ.)	42	20	10	12	53-39	50
„მეტალისტი“ (ხ.)	42	15	19	8	43-26	49
„დინამო“ (ლ.)	42	19	9	14	62-49	47
„ერ. სოვ.“ (ყუიბ.)	42	17	13	12	43-32	47
„რუბინი“ (ყაზ.)	42	18	10	14	36-42	46
„შახტ.“ (ყარ.)	42	15	15	12	49-43	45
„ფალგარ.“ (ვილ.)	42	15	11	16	46-40	41
„ბოლდოვა“ (კიშ.)	42	13	15	14	40-34	41
„ტექსტილ.“ (ივ.)	42	13	14	15	36-51	40
„ვოლგარი“ (ასტ.)	42	14	11	17	38-45	39
„ურალმაში“ (სვ.)	42	13	12	17	37-49	38
„ლოკომ.“ (თბ.)	42	14	9	19	36-43	37
„ფუბანი“ (ერ.)	42	11	15	16	27-45	37
„დაუგავა“ (რიგა)	42	11	11	20	36-50	33
„პამირი“ (დუშ.)	42	12	9	21	41-62	33
„ალგა“ (ფრ.)	42	10	12	20	34-45	32
„ალა (კიევი)	42	11	10	21	39-50	32
„ალა (ხაბ.)	42	8	16	18	22-41	32
„სტროიტ.“ (აშხ.)	42	6	8	28	22-77	20

ტურნე საზღვარგარეთ

საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩვენი ფეხბურთის წამყვანი გუნდები ტრადიციისამებრ საზღვარგარეთ მიემგზავრებიან. სსრ კავშირის თასის მფლობელნი — **მოსკოვის დინამოელები** 9 ნოემბერს საფრანგეთში გაფრინდნენ. დღეს ისინი ბორდოში ადგილობრივ გუნდს „ჟირონდას“ შეხვდებიან. შემდეგ დინამოელები გადავლენ შვეიცარიაში, სადაც 14 ნოემბერს ეთამაშებიან „ციურიხს“. 18 ნოემბერს **გლასგოში** (შოტლანდია) ისინი გამოვლენ „გლასგო რეინჯერსის“ წინააღმდეგ. ტურნეს მეოთხე, დასკვნითი მატჩს მოსკოველები ჩაატარებენ 20 ნოემბერს **დასავლეთ ბერლინში „ჰერტასთან“**.

„ა“ კლასის პირველ ჯგუფში გამარჯვებული „ალრაბატის“ ფეხბურთელები გამოვლენ კუბაში. დონის **როსტოვის** არმიელები **ალჟირაში** გაეგზავნებიან. მათს თამაშს ნახავენ ფეხბურთის მოყვარულნი სენეგალში, გამბიასა და ზემო ვოლტაში. დეკემბრის დამდეგს **ეროშილოვგრადის** „ზარია“ გაეგზავნება **ეთიოპიაში**.

13 ნოემბერს კუნძულ კვიპროსზე მიფრინავს **სსრ კავშირის ნაკრები**. ერთი დღის შემდეგ ნიკოზიაში იგი ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩს კვიპროსის ნაკრებთან. შინ დაბრუნებისას ჩვენი ფეხბურთელები გზად სამ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ: 18 ნოემბერს ვენაში — „რაპიდთან“, 21 ნოემბერს — გფრ-ში „ჰამბურგთან“ და 25 ნოემბერს — იტალიაში „მოდენასთან“ (საკადესი).

ბ ა ნ ე ბ ი

ი. ე. ნაჭყებია — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორმა სასწავლო ნაწილში **ივანე ერასტის-ძე ნაჭყებიამ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„საბჭოთადოებრივი პროგრესის მარქსისტულ-ლენინური თეორია“**.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ი. ნაჭყებიასათვის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

„კომუნისტი“

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ფგ 04489

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

11 ნოემბერი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.10 — კინოპროგრამა, 12.00 — მხატვრული ფილმი — „ორი ბილეთი დღის სეანსზე“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — გადაცემა ბავშვებისათვის — „მსოფლიოს შვიდი საოცრება“, 18.55 — გადაცემა ციკლიდან „ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელთათვის“, 19.15 — „საბჭოთა საქართველო-50“ — „დიდი წლების ქრონიკა“ 1932 წელი, 19.35 — კონცერტი-სუბარი „ბეთპოვენის სონატები“, 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ალბუსი“, 21.30 — გადაცემა — „გრიგოლ ჩიქოვანი“, 22.05 — „კინოპანორამა“.

12 ნოემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — დოკუმენტური ფილმი, 12.05 — მხატვრული ფილმი — „გასროლა კარაშის უღელტეხილზე“, 18.05 — „ტექნიკის სამყაროში“, 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „თქვენზე ფიქრებში“, 19.00 — გადაცემა — „მომზადებული შევხვედი ზამთარს“, 19.20 — კინოსარკვევი, 19.30 — „ჩვენი სტუმრები“, 20.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — სომხეთის ტელევიზიის პროგრამა — საბჭოთა სომხეთისა და სომხეთის კომპარტიის 50 წლისთავი.

თეატრები

11 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ კიხოტი; რუსთაველის სახელობის სახელმწ ი ფ ო აკადემიური — ფედრა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — წმინდანები ჯოჯოხეთში; გრიბოედოვის სახელობის — ძველი არბატის ზღაპრები (მე-7 აბონ. მე-2 წარმოდგენა); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი სიდედრი; თოჯინების ქართული — ტყის კომედია (10 ს. და 2 ს. მე-60 სკოლა, 2 ს. რკინიგზის I და 65-ე სკოლები).

კინო

11 ნოემბერი

ოქტომბერი — წითელი კარავი (I, II სერია); ამირანი, სპარტაკი, კოლხიდა, ჟავეშავაძის სახელობის კულტურის სახლი — მატარებელი (I, II სერია); საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, ვარძია, სიხარული, თბილისი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ეკრანი — „ვეფხვის ნაკვალევზე; საქართველო (მწვანე დარბაზი), ბათუმი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ნაკადული — ყაბი ცხოვრებისა; 26 კომისრის სახელობის (მწვანე დარბაზი), აზაზეგი (პირველი დარბაზი), კოლმეურნე — ყვავილი და ქვა (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (წითელი დარბაზი) — განთავისუფლება (I, II სერია); ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — თავგადასავალი გარეუბნის სახლში; თანამგზავრი — მე-17 ცა.

რედაქტორი

დ. მეჯლიშვილი.